



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 96

2016 წლის 23 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ზოგიერთი
საგრანტო განაცხადის კონკურსიდან მოხსნის შესახებ

„2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების
შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის
06 აპრილის N64 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის შესახებ
პირობების მე-6 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის
მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის
მთავარი სპეციალისტების ნინო დემეტრაშვილის და ლოლიტა შენგელიას სამსახურებრივი ბარათის
(N532365; 20.05.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით გამოცხადებულ საგრანტო
კონკურსიდან, კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო მოიხსნას ამ ბრძანების დანართით
გათვალისწინებული განაცხადები;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის
ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6)

გიორგი ჟღენტო
გენერალური დირექტორის მოვალეობის შესრულებელი


შემსრულებელი:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე

-----  ----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:

1. იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/